

# ქალების სამენარეო, საინვესტიციო და სამომხმარებლო ქსავის თავისებურებანი

თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლი აშკარად იზრდება.<sup>1</sup> დასავლეთში ქალებმა რთული გზა განვლეს იმის დასამტკიცებლად, რომ მათ არა მხოლოდ საზოგადოების აზრის, არამედ კანონმდებლობისა და ეკონომიკის დადებითად შეცვლაც კი შეუძლიათ.<sup>2</sup>

მე-20 საუკუნის ბოლოს ქალთა ლიდერობა ტრადიციულ პატრიარქალურ ქვეყნებშიც გამოიკვეთა. დღეს მთელ მსოფლიოში ქალები ერთიანდებიან პირად თუ საზოგადოებრივ სირთულეთა დასაძლევად, ეძებენ გზებს და წარმატებითაც ასერხებენ თვითდამკვიდრებას.<sup>3</sup>

შესაბამისად, გასაკვირი არ არის ის, რომ ქალის, როგორც შემოსავლის მიმდების და ინვესტორის, როლი ეკონომიკური კვლევის მნიშვნელოვანი და სულ უფრო მზარდი ობიექტია. კვლევის შედეგები კი საგულისხმო და, გარკვეული გაგებით, მოულოდნელიცაა.

ასე, მაგალითად, ფულის დაბანდების დროს ქალები მოსალოდნელი წარმატება-წარუმატებლობის, საფრთხის, რისკისა თუ მოლოდინის

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალები დღეს ძირითად ეკონომიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. მათ ამაჟამად ამერიკის კერძო ბიზნესის 40% და ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ნახევარი ეკუთვნით, რომელიც 11 ტრილიონ აშშ დოლარად არის შეფასებული და 2020 წლისთვის 22 ტრილიონ აშშ დოლარს გაუტოლდება. სტატისტიკურად, ათი გათხოვილი ქალბატონიდან ორის შემოსავალი მისი მეუღლის შემოსავალს აღემატება; გარდა ამისა, ქალების 90% ოჯახის შემოსავალს თავად აკონტროლებს.

<sup>2</sup> ერთ-ერთი კვლევის თანახმად, საერთაშორისო კორპორაციების წარმატების 35 პროცენტი მენეჯმენტში პასუხსაგებ თანამდებობებზე დანიშნულ ქალთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგია. აღმოჩნდა, რომ ქალები ორიენტირებული არიან და ემხრობიან გრძელვადიანი ინვესტირების პროგრამების განხორციელებას, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ რისკებს შეიცავს. თუმცა, სამაგიეროდ, გრძელვადიან კაპიტალდაბანდებებს მყარი მოგების მოტანა შეუძლია.

<sup>3</sup> იხ.: <http://24saati.ge/index.php/category/business/2009-10-23/801.html>.

**მერაბ მანიშვილი –**  
**სტუ-ს ასოც. პროფესორი**  
**ნინო მანიშვილი –**  
**სტუ-ს დოქტორანტი**  
**დავით ბიბიჩაძე –**  
**სტუ-ს დოქტორანტი**

შესახებ, როგორც წესი, იდეალურად არიან ინფორმირებულები და, შესაბამისად, ხშირად მამაკაცებზე უფრო წარმატებულ გათვლას აკეთებენ. ამასთან, ქალები სერიოზულ საკითხთან მიმართებით ხშირად უკიდურეს კონსერვატიულობას იჩენენ. საბოლოოდ ჯამში, ქალების ფინანსური ქცევა უდავოდ საინტერესოა ინვესტორისათვის, რომელი სტეისისაც არ უნდა იყოს ის.

კვლევებმა აჩვენა, რომ მამაკაცები ხშირად გადაჭარბებულად აფასებენ თავიანთ ფინანსურ შესაძლებლობებს, ქალები კი ამ დროს უტყუარ ინფორმაციას ეძებენ: კითხულობენ აზრს, რჩევას, იღებენ დახმარებას. ამ ფაქტორების გათვალისწინებით კი მათი გადაწყვეტილება, როგორც წესი, რეალურ ფაქტებს ეყრდნობა.<sup>4</sup> ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ამ მიმართულებით მოაზროვნე ადამიანების წლიური შემოსავალი პროცენტულად ყოველთვის აღემატება იმათ შემოსავალს, ვინც ექსპერტთა რჩევებს უგულვებელყოფს.

საგულისხმოა, რომ ქალებს თავიანთი ბიზნეს-მოქმედებების განსაზღვრა მამაკაცებზე უკეთ შეუძლიათ. მათ პრიორიტეტებში უკვე არსებულის დაცვა ყოველთვის პირველ ადგილზე დგას. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის

<sup>4</sup> Spectrem Group-ის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, მდიდარი ქალების 46% და ძალიან მდიდარი წლიური შემოსავლის მქონე ქალების 82% ფინანსურ საკითხებში სხვის აზრს კითხულობს და რჩევას აუცილებლად ითვალისწინებს. გარდა ამისა, უშუალოდ მოქმედებაზე გადასვლის წინ ქალებს გარკვეული და კონკრეტული ფაქტები სჭირდებათ.

სარისკო მოქმედებების განხორციელების ხარჯზე შემოსავლის გაზრდა.<sup>5</sup> მიზანმიმართული უნივერსიტეტის საპენსიო კვლევითი ცენტრის მონაცემების მიხედვით, მამაკაცები უფრო ხშირად და უსარგებლოდ ყიდიან თავიანთ ანაბრებს. ყველა სხვა მანქანებზე მფლობელის თანასწორობის პირობებში, მამაკაცებმა ქალბატონებზე 56%-ით მეტი ფასიანი ქაღალდი გაყიდეს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არცთუ წარმატებულად.<sup>6</sup>

სამწუხაროდ, ფინანსურ საკითხებში ქალების ძლიერი მხარეები მათ ერთმნიშვნელოვან უპირატესობას მაინც არ ნიშნავს. მაგალითად, ქალებს შვილებისა თუ მოსუცებული მშობლების მოსაველეად უფრო ხანგრძლივი შვებულების აღება უწევთ, რაც ამცირებს მათ სტაჟს დამკირავებელი კომპანიის მიერ შემუშავებულ საპენსიო გეგმაში და, შესაბამისად, ამ სქესის წარმომადგენლებს სამუშაო გამოცდილების წლებს აკლებს; ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ქალებს შეიძლება გამოეღიოთ ფულადი სახსრები ან გაუთვალისწინებელი თანხა დასჭირდეთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. ბუნებრივია, მათ ასევე შეიძლება შეცდომა დაუშვან პოტენციური რისკის თავიდან აცილების ყველა შესაძლო გათვლის დროსაც კი. შედეგად, მათ ისეთი სტრატეგია სჭირდებათ, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ძლიერ მხარეებს ხაზს გაუსვამს და რამდენიმე კონკრეტულ პრობლემასაც მოუგვარებთ.

დაბოლოს, ქალებისთვის დამახასიათებელი რეალობის შეგრძნება ყოვლისმომცველი სუფთა არ არის. ამას თავისი მიზეზები აქვს: შესაძლებელია მათ ვერ შეძლონ ხანგრძლივი ცხოვრების ხარჯების ფინანსური სტრატეგიის კუთხით განსაზღვრა. სოციალური უსაფრთხოების ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, ამერიკელი ქალები მამაკაცებზე ხუთი შვიდი წლით უფრო დიდხანს ცოცხლობენ; 65 წლის ასაკის ქალბატონების სიცოცხლე შესაძლებელია დამატებით 20 წლით გახანგრძლივდეს. გახანგრძლივებული სიცოცხლე კი სამედიცინო

ხარჯების გაზრდასაც ნიშნავს.<sup>7</sup> ყველაფერი ეს პოტენციური ფინანსური სირთულეების სათანადოდ გააზრებასა და პრევენციული ზომების მიღებას მოითხოვს.

ნიშანდობლივია, რომ 2009 წლის მაისში გავლენიანმა გამოცემა „ფორბსმა“ უმდიდრესი ბიზნესმენი ქალების რეიტინგი გამოაქვეყნა. მილიარდერთა კლუბის ლიდერი ჩინელი ბუ იახუნი აღმოჩნდა, რომელმაც რიელტორის ბიზნესიდან 3,9 მლრდ. დოლარის ქონება დააგროვა. მეორე პოზიცია „მარას“ იმპერიის თანადამაარსებელმა როზალია მერამ დაიკავა, მისმა ქონებამ 3,5 მლრდ. დოლარი შეადგინა. მესამე ადგილი წილად ხვდა რუსეთის დედაქალაქის ყოფილი მერის იური ლუჟკოვის მეუღლეს, ბიზნესმენს ელენა ბატურინას.<sup>8</sup> ამასთან, 14 უმდიდრესი ქალი ბიზნესმენების რეიტინგში მოხვდნენ: შოუების ცნობილი წამყვანი ოპრა უინფრი (2,4 მლრდ დოლარი), ბრენდების Old Navy-ისა და Banana Republic-ის მფლობელი დორის ფიშერი, ბრენდ benetton-ის მფლობელი ჯულიანა ბენეტონი (2,1 მლრდ დოლარი). „ფორბსის“ ნუსხაში ყველაზე მდიდარი მწერალი ქალი, ჰარი პოტერის რომანის სერიებისა და მისი ეკრანიზაციიდან მიღებული 1 მლრდ. დოლარით, ჯოან როულინგიც მოხვდა.

საყურადღებოა, რომ 2010 წლის ოქტომბერში Commersant.ge- საქართველოში ყველაზე გავლენიანი 10 ბიზნეს-ქალბატონის გამოსარკვევად ეკონომიკის სფეროს ჟურნალისტების გამოკითხვა ჩატარა. ამ გამოკითხვის შედეგად, ბიზნესის სიდიდისა და ბიზნეს-წრეებში არსებული გავლენის, ასევე საზოგადოებრივი აქტიურობის მიხედვით, რეიტინგი ასე შედგა: 1. მაია რჩეულიშვილი სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებელი; 2. ნაზი ალასანია, „ფასტ პლუს“ ის (ბიტუმის უმსხვილესი იმპორტიორი კომპანია 1994 წლიდან. კომპანია ასევე ახორციელებს ცხვრის ექსპორტს) ხელმძღვანელი; 3. ლაურა დაჭავაძე, „პირიმის“ გენერალური დირექტორი; 4. ნუნუ ბენდუქიძე, დეველოპერული კომპანია „ბაგები სიტი ჯგუფის“ დამფუძნებელი; 5. ირმა დაუშვილი,

<sup>5</sup> Spectrem Group-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ათიდან ექვსი მდიდარი ქალი სწორედ ასე ფიქრობს.

<sup>6</sup> აქციების დაბანდების დროს სქესთა შორის განსხვავებებზე ორიენტირებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცები ნაადრევად ყიდნიან ან ახალზე ცვლიან თავიანთ აქტივებს და, საბოლოო ჯამში, ხშირად წაგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ქალები, პირიქით, ხანგრძლივ დაკვირვებას ამჯობინებენ და მიაჩნიათ, რომ მოგებიანი ქმედების განსაზღვრისთვის დრო გადამწვევტი ფაქტორია.

<sup>7</sup> Spectrem Group-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ათიდან ექვსი მდიდარი ქალი სწორედ ასე ფიქრობს.

<sup>8</sup> აქციების დაბანდების დროს სქესთა შორის განსხვავებებზე ორიენტირებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მამაკაცები ნაადრევად ყიდნიან ან ახალზე ცვლიან თავიანთ აქტივებს და, საბოლოო ჯამში, ხშირად წაგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ქალები, პირიქით, ხანგრძლივ დაკვირვებას ამჯობინებენ და მიაჩნიათ, რომ მოგებიანი ქმედების განსაზღვრისთვის დრო გადამწვევტი ფაქტორია.

კარ-ფანჯრების მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანია „დიოს“ ხელმძღვანელი; 6. ნათია თურნავა, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორი; 7. ია კიწმარიშვილი, სამოდულო სააგენტო „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელი; 8. ნატა სამადაშვილი, კომპანია „საიმონის“ ხელმძღვანელი (კომპანია აშენებს „თბილისის კარიბჭეს“); 9. ნატალი სამადაშვილი (კომპანია „ნატალის“ ხელმძღვანელი); 10. თათა ვარდანაშვილი, ფეხსაცმლის დიზაინერი, სტუდია „დემეტრეს“ მფლობელი.

საინტერესოა, რომ ქალთა პოლიტიკურმა რესურსცენტრმა, შვედური ფონდის (kvinnan till kvinnan-ს) ფინანსური მხარდაჭერით, ჩაატარა კვლევა სახელწოდებით „ქალი და ბიზნესი“ და გააკეთა ქართულ ბიზნესში ქალის ადგილის შეფასება. კვლევის მიზანი იყო საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს შესწავლა და იმ ძირითად წინააღმდეგობათა გამოვლენა, რომელიც შესაძლოა შეხვედეს ბიზნესის სფეროში მოღვაწე ქალს თავისი საქმიანობის წარმართვისას. რესპონდენტების გამოკითხვის შედეგად, რომლებიც ბიზნესის სხადასხვა სფეროში მოღვაწეობენ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ბიზნესის მფლობელი მამაკაცები ხშირად ბიზნესპარტნიორებად ისევ მამაკაცებს ირჩევენ, გამყიდველებისა თუ მომსახურების ადგილებზე კი უფრო ხშირად ქალებს ასაქმებენ.<sup>9</sup>

ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სამთავრობო სტრუქტურებში ქალთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, მაგრამ, როგორც წესი, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მამაკაცები ინიშნებიან. როგორც ვხედავთ, ბიზნესშიც თითქმის იგივე სურათია: არ ენდობიან ქალებს, როგორც ბიზნესპარტნიორებს, მაგრამ სთავაზობენ მათ დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებს ხშირად არ ენდობიან, როგორც ბიზნესპარტნიორებს, რესპონდენტთა უმეტესმა ნაწილმა (85%-მა) აღნიშნა, რომ მათ არასოდეს შეხვედრიათ წინააღმდეგობები ბიზნესურთიერთობებში და მხოლოდ

17-მა, ანუ გამოკითხულთა 8.5%-მა აღიარა, რომ ბიზნესის წარმართვისას ასეთ წინააღმდეგობებს გადააწყდა.<sup>10</sup> გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ ქალთა ჩართულობა ბიზნესში ხელს უწყობს მის განვითარებას, 15%-ს ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს, ხოლო 35%-ს აზრით, ქალთა ჩართულობა ბიზნესში მნიშვნელოვნად არ აისახება ბიზნესის განვითარების საერთო სურათზე.

ბიზნესის საერთო მდგომარეობის შესწავლისას ნათლად გამოჩნდა, რომ არის სფეროები, სადაც, როგორც წესი, ქალები უფრო ხშირად მოღვაწეობენ, ვიდრე მამაკაცები, და პირიქით, ბევრ სფეროში ქალებს საერთოდ ვერ შევხვდით, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა უმეტესობა – 50% მიიჩნევს, რომ ქალები უნდა მოღვაწეობდნენ ბიზნესის ყველა სფეროში; 5% ფიქრობს, რომ ქალები საერთოდ არ უნდა იყვნენ ბიზნესით დაკავებული; 11%-ს მიაჩნია, რომ არსებობს ქალისთვის შესაფერისი სფეროები: ტანსაცმლით ვაჭრობა, საპარიკმახეროები, სამკერვალო ატელიები, რომელთა მფლობელებიც შესაძლოა იყვნენ ქალები, 30%-ს საერთოდ არ აქვს პასუხი ამ კითხვაზე და მხოლოდ 4%-ს მიაჩნია, რომ ქალის ადგილი სახლსა და სამზარეულოშია.

კიდევ ერთი საინტერესო მომენტი ის, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანალიტიკოსებმა 134 ქვეყანაში სქესთა თანასწორობის რეიტინგი გამოაქვეყნეს. რეიტინგში საქართველო 88-ე ადგილზე აღმოჩნდა. რეიტინგის შედგენისას ექსპერტებმა შეადარეს ქალებისა და მამაკაცების შესაძლებლობები ოთხი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით. საქართველოში ქალის როლი მართლაც აშკარად იზრდება, თუმცა არა ისე, როგორც დასავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დასაქმებული ქალების რაოდენობა არც ისე მცირეა, შედარებით მოკრძალებულია მათი საშუალო თვიური ანაზღაურება.

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, თუ სად რამდენი ქალია დასაქმებული და რა რაოდენობით ხელფასს იღებენ ისინი, აშკარად ჩანს, რომ ქალთან შედარებით უპირატესი პოზიცია კვლავ მამაკაცს უჭირავს. ერთი და იგივე სფეროში დასაქმებული მამაკაცის ყოველთვიური ხელფასი რამდენიმე ათეული, ზოგჯერ კი რამდენიმე ასეული ლარით აღემატება ქალის

<sup>9</sup> კვლევის მიხედვით, პენსიაზე გასულ 65 წლის ასაკის ქალბატონს შესაძლებელია 242,000 აშშ დოლარის შენახვა დასჭირდეს ჯანმრთელობის, სადაზღვეო და სხვა ხარჯების დასაფარავად.

<sup>8</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ გამოცემა „ფორბსმა“ მისი ქონება 2,9 მლრდ დოლარად შეაფასა.

<sup>9</sup> ეს, როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, ნათლად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ქალებს, როგორც სერიოზულ პარტნიორებს არ აღიქვამენ, რაც უკვე გენდერული პრობლემაა და ხელს უშლის ქალს სათანადოდ განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები.

<sup>10</sup> არის შემთხვევები, როცა ბიზნესის სფეროში მოღვაწე ქალები იძულებული ხდებიან გარკვეული დაბრკოლებების გადასალახად მამაკაცებს სთხოვონ დახმარება, თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, ასეთი შემთხვევები შედარებით მცირეა და ისინი უმეტეს შემთხვევაში თავად უმკლავდებიან პრობლემებს.

ხელფასს. ამავე დროს, იგივე სტატისტიკური მონაცემებით, მამაკაცებთან შედარებით მეტია თვითდასაქმებული ქალების რაოდენობა.

სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წელს დასაქმებული ქალის საშუალო თვიური ხელფასი 177,6 ლარს შეადგენდა, როდესაც მამაკაცის ანაზღაურება 362,0 ლარი იყო. 2007 წელს გაიზარდა დასაქმებული ქალის საშუალო ხელფასი და შეადგინა 240,0 ლარი, მამაკაცის ხელფასი კი ამ დროს უკვე 400 ლარზე მეტი იყო და 475,6 ლარს შეადგენდა. საშუალო ხელფასმა მოიმატა 2008 წელსაც, ამ დროს ქალის ხელფასი 367,7 ლარს შეადგენდა, მამაკაცისა კი 678,4 ლარს. რაც შეეხება 2009 წელს, დასაქმებული მამაკაცის საშუალო ხელფასი თითქმის 2ჯერ აღემატებოდა ქალის ხელფასს. თუ მამაკაცის საშუალო ხელფასი შეადგენდა

791,4 ლარს, ქალის ხელფასი სულ რაღაც 446,5 ლარს უტოლდებოდა. 2011 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, საქართველოში, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 552 ლარია. თუმცა ქალების ანაზღაურება მამაკაცების ანაზღაურებაზე დაბალია და 407 ლარს შეადგენს.

რასაკვირველია, მაინც სადავოა, მნიშვნელოვნად განსხვავდება თუ არა ბიზნესში ქალების ფინანსური მოქმედებები და უპირატესობები ამ სფეროში მამაკაცების ქმედებებისა და უპირატესობებისაგან. თუმცა ფულის დაბანდებისა და შენახვისადმი ქალების ფრთხილი, წინდახედული და ინფორმირებული მიდგომა იმის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, თუ როგორ შეიძლება თითოეულმა ჩვენგანმა უკეთესად განკარგოს ფინანსები და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ვანიშვილი მ., შანავა ზ. ეკონომიკის საფუძვლები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა. – თბილისი, 2010. – გვ. 828.
2. ქარჩავა ლ. გამოჩენილ ბიზნესმენტა სამეწარმეო ცხოვრებიდან. ბიზნესის გარშემო. წიგნი პირველი. – თბილისი, 2006. – გვ. 296.
3. შენგელია თ. თანამედროვე ბიზნესის საფუძვლები. ნაწილი I. – თბილისი, 2007. – გვ. 460
4. <http://24saati.ge/index.php/category/business/20091023/801.html>. უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2012.

## **WOMEN'S ENTREPRENEURSHIP, INVESTMENT AND CONSUMER BEHAVIOR CHARACTERISTICS**

**MERAB VANISHVILI GTU, Associate Professor**

**NINO VANISHVILI GTU, PhD**

**DAVID BIBICHADZE GTU, PhD**

The role of woman in modern society is increasing. Women in the West have gone through many difficulties for approval that they can not only change society opinion they also can change legislation and economical situation for the best. Today, women all over the world are together to overcome personal and social difficulties and they are looking for ways to manage to assert themselves very successful.

No wonder that, a woman's role is now very important as an investor and recipient's profits and is the growing object in the economic research. Research results are unexpected and very important. For example, as a rule while investing money women are informed about its success/failure, danger, risk and so women are more successful than men.

Women can determine their business operations better than men. To protect existing is always in the first place for them, and only after all this comes to increase the profits on the basis of the risks. Unfortunately, women's strengths in financial issues do not mean their onesided advantage.

The sense of reality which is characteristic for women is not comprehensive at all. It has its reasons: They won't be able to determine longterm financial strategy in terms of living expenses. All this determines to comprehend potential financial difficulties and do required measures.

Of course, it's disputed, the difference in women's financial activities in business and their advantages than men's are. However, women's overcareful, overcautious, informed and correct (right) approach to the matter of investing money is highly visible example of how can each person manage the finances and conduct the business better